

## სოციალური სახისთვის საშიში სამეცნიერო აქტები და მათზე პასუხები ქართულ ენაში: გენდერო-შორისი პერსპექტივა

### მარინე ლევიძე

ეს ნაშრომი განიხილავს კვლევას იმის შესახებ თუ რამდენად გენდერულად განსხვავებულია პასუხები სოციალური სახისთვის საშიშ სამეცნიერო აქტებზე (სსსა) საქართველოში. გასაანალიზებელი სამეცნიერო აქტები ქართული აქტუალური ინტერაქციიდან ნაწყვეტებია. კვლევა ტარდება მხოლოდ ჯვარედინ გენდერულ საუბრებზე. დამატებით კითხვარები გაკეთდა სოციალურ ქსელში. შედეგები ეყრდნობა რაოდენობრივ შედეგებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** თავაზიანობა; სოციალური სახე; სოციალური სახისთვის საშიში სამეცნიერო აქტები; პასუხები; გენდერი; ქართული ენა.

1995 წელს ირვინგ გოფმანმა გამოქვეყნა თეორია სოციალური სახის შესახებ [გოფმანი 1955], რამაც დასაბამი მისცა ურიცხვ ნაშრომს ამავე თემაზე. ის ინტერესის საგანს წარმოადგენდა მრავალი კვლევისთვის წლების განმავლობაში. თუმცა, ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ბრაუნმა და ლევენსონმა გამოაქვეყნეს ერთობლივი კვლევა 1978 წელს [ბრაუნი და ლევენსონი 1978] ამავე საკითხზე. მათ წარმოადგინეს თავაზიანობის სტრატეგიები, რომელიც მათ თანახმად უნივერსალურია. მას შემდეგ უამრავი კვლევა შეიქმნა ამ საკითხზე, რომელთა ნაწილი მათ აკრიტიკებდა და ზოგიც კი მათ მიერ წარმოდგენილ თეორიას განავრცობდა [ჰილი... 1986; 2005; მაცუმოტო 1988; მაო 1994; თრეისი 1990]. მიუხედავად ამისა ცოტა რამ თუ შეიქმნა კერძოდ გენდერისა და სოციალური სახის კომბინაციაზე. ეს ნაშრომი წარმოადგენს სოციალურ სახესა და გენდერზე სოციოლინგვისტურ პერსპექტივას ქართულ ენაში. „როგორც ჩანს ზოგიერთი უნარი სოციალური სახის შესანარჩუნებლად თანდაყოლილია ისევე როგორც ჩვენი ზოგადი მოთხოვნილება შევინარჩუნოთ სახე“ (ჰადსონი 1996:115). კვლევა განიხილავს მართლაც არის თუ არა სოციალური სახის შენარჩუნების უნარი თანდაყოლილი და ასევე კულტურულად განპირობებული. არის თუ არა თავაზიანობის სტრატეგიების

უნივერსალობის თეორია ასევე ვარგისი საქართველოსთვის როგორ კულტურისთვის? არიან თუ არა პასუხები სოციალური სახისთვის სა-შიშ სამეტყველო აქტებზე გენდერულად სპეციფიკური ქართულ „ჰეტერო-გენდერულ“ ინტერაქციაში? ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება გაიცეს მხოლოდ დისკურსის ანალიზის შემდგომ. მიუხედავად ამისა, ანალიზის პროცესი ობიექტურად პროდუქტიული იქნება მხოლოდ რამოდენიმე ისეთი არსებითი ფაქტორის გათვალისწინების შემდეგ, როგორცაა კონტექსტუალურობა, სიტუაციური კონტექსტი, ფონური ცოდნა, კონტექსტუალური ეფექტები და სხვ.

მოდით განვიხილოთ ნაწყვეტი პრაიმ-ტაიმის ახალი ამბების რეპორტაჟიდან ერთ ერთ ქართულ არხზე [ახალი ამბები; რუსთავი-2; 20:00; აგვისტო, 3; 2011].

რეპორტაჟი ანტი-სანიტარიულ პირობებზე მარნეულის ბაზარში, სადაც არ არის დაცული მკაცრი სანიტარიული ნორმები. კადრებში ჩანს, რომ საკვები პროდუქტები არ ინახება მაცივარში. მამრობითი სქესის რეპონდენტი შეკითხვაზე თუ რატომ არ ინახავს ხორცს მაცივარში ცხელ დღეს, ცდილობს თავი გაიმართლოს და ამბობს, რომ ღამით პროდუქტი ინახება მაცივარში და მხოლოდ დღის განმავლობაში გამოაქვთ, რა დროშიც შეუძლებელია მან დაკარგოს სიცოცხლისათვის უსაფრთხო თვისებები.

A (ქ): რატომ არ ინახავთ ხორცს მაცივარში?

B (მ): ჩვენ ხორცს ღამით მაცივარში ვინახავთ, და დღისით გამოგვაქვს. შეუძლებელია [ხორცი] გაფუჭდეს ასე სწრაფად. ხალხი ყიდულობს და კმაყოფილია.

მდედრობითი სქესის კორესპონდენტი მამაკაცი რესპონდენტის „ნეგატიურ“ სახეს (negative face) უქმნის საფთხეს თავაზიანობის პირდაპირი (on-bald) სტრატეგიის მიმართვის გზით. რესპონდენტი ცდილობს არ შეელახოს „სოციალური სახის“ თუმცა ის შეიძლება გამოჩინდეს გამყიდველად, რომელიც არ იცავს დაწესებულ სანიტარიულ ნორმებს. ამის მიუხედავად, არღვევს ხარისხის მაქსიმს და ამბობს ისეთ რამეს რაც სიმართლეს არ შეესაბამება – საკვები პროდუქტები ხომ ადვილად კარგავს საკვებ თვისებებს სიცხეში რამოდენიმე საათის განმავლობაში. ის რაც დაგვაფიქრებს არის ის თუ რატომ ირჩევს გამყიდველი ამ გზას – საჯაროდ განაცხადოს ისეთი ტყუილი, რაც ყველსათვის ასე ცხადია? არის თუ არა ამის მიზეზი ის ფაქტი, რომ კორესპონდენტი ქალია თუ ის, რომ გადაცემის მაუწყებლობა საქვეყნოა, თუ ორივე ერთად? ასეთი ალოგიკურობა გაოცებას იწვევს. ნებისმიერი „რაციონალური აგენტი“ მის ადგილზე მიზეზად სხვა რამეს დაასახელებდა. ბრაუნის და ლევისონის მიერ წარმოდგენი-

ლი თავაზიანობის სტრატეგიები [ბრაუნი & ლევენსონი 1987] ეფუძნება რაციონალურ გადაწყვეტილებებს, რომელიც არ ერგება ზემოთ მოცემულ მაგალითს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა გავიგოთ მიზეზი, რატომ გასცა რესპონდენტმა ასეთი ირაციონალური და აბსურდული პასუხი. როგორც ზემოთ მოცემულ საუბარში ჩანს, ქალმა კორესპონდენტმა მისი მამაკაცი რესპონდენტის სოციალური სახის შელახვის საფრთხის ქვეშ დააყენა მაქსიმალური ხარისხით – საჯაროდ მისი სოციალური სახის შელახვამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი ალოგიკური პასუხი თუ რიჩარდ უოტსის სიტყვებს გავითვალისწინებთ – „პირდაპირი საუბარი (on record baldly) და სოციალური სახის საშიში სამეტყველო აქტების ყველანაირი შენიღბვის (redressive action) გარეშე გამოყენება გულისხმობს დიდ რისკს სოციალური სახისთვის და უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ მაშინ როდესაც ადრესატის სოციალური სახის შელახვის მინიმალური რისკი არსებობს“ [უოტსი 2003:8].

იმისათვის, რომ გამოვრიცხოთ ტელევიზიის ფაქტორი და გავიგოთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი წარმომადგენს თუ არა გადამწყვეტ ფაქტორს, გაანალიზებული იყო სიტუაცია იქ სადაც კამერა და ოპერატორი არ უქმნის საფრთხეს რესპონდენტს. ანალიზისთვის აღებულია რეალური ინტერაქციის ნაწყვეტები ჯვარედინ გენდერული საუბრებიდან სადაც ინტერაქციის მონაწილეები სხვადასხვა სიტუაციური კომპონენტებით სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს, სოციალურ პოზიციას მიეკუთვნებიან, და სხვადასხვა ხარისხით ნაცნობები არიან. ერთი-ერთი მათგანი ახდენს ისეთი ტიპიური სიტუაციის ილუსტრირებას, რომელიც ქართულ რეალობაში ხშირად ხდება – გრძელი რიგი, ყველა თავის ჯერს ელოდება, ერთი-ერთი ქალი ურიგოდ მიდის. ამავე რიგში მდგომი მამაკაცი გაღიზიანებული მიმართავს ირიბ (off the record)/პატივისცემის (deference) სტრატეგიას და მიანიშნებს ქალბატონს, რომ მისი უფლებები დაირღვა და რომ ის უნდა დაუბრუნდეს თავის ადგილს.

მამაკაცი: ქალბატონო! აქ ყველა რიგში ვდგავართ!

ქალი: მხოლოდ რალაცას ვკითხავ [მოლარეს] და დავუბრუნდები რიგს.

მამაკაცი სთხოვს ქალბატონს ამ უკანასკნელმა დაიცვას წესები და ამავე დროს სოლიდარობას უცხადებს დანარჩენებს რიგში მდგომს ამ ქალბატონის გარდა. ურთიერთობის მაქსიმის დარღვევით და პირდაპირი სტრატეგიის თავიდან არიდებით მამაკაცი საფრთხეს უქმნის საკუთარ უარყოფით „სახეს“ (negative face) და ამავე გზით აძლიერებს მის ინტენციას. ქალბატონი თავის მხრივ ხედავს რა, რომ „მინი-სო-

ციალური“ ჯგუფი სწორედ იმ მამაკაცთან ერთად მისი წინააღმდეგია (ამ ჯგუფს „წარმოადგენს“), ნებდება მისი „დადებითი სახის“ (positive face) მიმართ წამოსულ საფრთხეს, მაგრამ მისი შემდგომი ნაბიჯი მის უარყოფით სახეს საფრთხეში აგდებს წარმოთქმული მიზეზით. ეს ტიპური ქცევაა, როდესაც „ნების“ სტრატეგია (volition strategy) შემოდის თამაშში [ლონგსკოუპი 1995:74].

მიუხედავად ზემოთ მოცემული მაგალითისა, მსგავსი შემთხვევების სტატისტიკურმა ანალიზმა საპირისპირო შედეგები მოგვცა. რეალურ ინტერაქციაში 35 მსგავსი ტიპის შემთხვევის რაოდენობრივი შედარება განხილული იყო, როდესაც 14 ქალის უარყოფითი სახე მამაკაცისგან წამოსული საფრთხის ქვეშ და 6 ქალი ასევე მამაკაცის მიერ შექმნილი დადებითი სახის საფრთხის ქვეშ იყო, ასევე განხილული იყო შემთხვევები, სადაც 9 მამაკაცის უარყოფითი სახე ქალის მიერ შექმნილ საფრთხეში იყო და 6 მამაკაცი კი დადებითი სახის საფრთხის ქვეშ (იხ. ცხრილები 1 და 2). ყველა ეს შემთხვევა წარმოადგენს შემთხვევებს, როდესაც მსხვერპლს ემუქრება საჯაროდ სახის ანუ სოციალური სახის ს შელახვა.

ანალიზისგან მიღებული შედეგების მიხედვით უფრო დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ქალებმა რეაგირება მოახდინონ ნებისმიერი ტიპის სახის საფრთხის არსებობის შემთხვევაში როდესაც ეს მოდის მამაკაცისგან და რომელიც მიმართავს პატივისცემის სტრატეგიას (იხ. ცხრილები 3 და 4). კადრებმა აჩვენა, რომ შედეგები შესაძლებელია იყოს რადიკალურად განსხვავებული როდესაც იმავე სქესთა შორის საუბრებია განხილვის საგანი, რაც ამ კვლევის განხილვის ობიექტს არ წარმოადგენს.

ცხრილი 1.

**ქალთა პასუხები მამაკაცის მიერ განხორციელებულ სსსა-ზე**

ქალთა პასუხები vs. მამაკაცთა პასუხები

	უპასუხა	თავი შეიკავა
უარყოფითი სსსა (14)	10	4
დადებითი სსსა (6)	3	3

**ცხრილი 2**

**მამაკაცთა პასუხები ქალის მიერ განხორციელებულ სსსა-ზე**

	მამაკაცთა პასუხები vs. ქალთა პასუხები	
	უპაზუნა	თავი შეიკავა
უარყოფითი სსსა (9)	5	4
დადებითი სსსა (6)	2	4

ამის შემდგომ კიდევ ორი კითხვარი შედგა თითოეული ერთი კითხვით და მათი სავარაუდო პასუხებით (იხ. ცხრილები 3 და 4). პირველი კითხვარი (იხ. ცხრილი 3) მოიცავდა კითხვას უნდა გაიმართლოს თუ არა მამაკაცმა თავი როდესაც ქალი მას „გაუმართლებელ“ სიტუაციაში ხედავს და დაარწმუნოს თანამოსაუბრე მის გულწრფელობაში (შეკითხვა 1) თუ პასუხისმგებლობა აიღოს და მისი დადებითი სახე საფრთხის ქვეშ ჩააგდოს (შეკითხვა 2). მეორე კითხვარი (ცხრილი 4) საპირისპიროა პირველის, სადაც ქალია სოციალური სახის ს შელახვის პოტენციური მსხვერპლი. რესპონდენტებს არ ქონდათ მოცემული სიტუაციური ან კონტექსტუალური ფონი. პირველ კითხვარში 67 რესპონდენტიდან (32 მამაკაცი და 35 ქალი) 22 მამაკაცმა პირველი ვარიანტი აირჩია, მაშინ როდესაც მხოლოდ დანარჩენმა 10 მამაკაცმა აირჩია მეორე ვარიანტი პირველ კითხვარში. რაც შეეხება მეორე კითხვარს, მან შემდეგი შედეგები მოგვცა (იხ. ცხრილი 4).

**ცხრილი 3.**

**პირველი კითხვარის ვარიანტთა სტატისტიკური მონაცემები**

	ვარიანტი 1 (%)	ვარიანტი 2 (%)
ქალი	2.85	97.14
მამაკაცი	68.75	31.25

**ცხრილი 4.**

**მეორე კითხვარის ვარიანტთა სტატისტიკური მონაცემები**

	ვარიანტი 1 (%)	ვარიანტი 2 (%)
ქალი	22.85	77.14
მამაკაცი	0	100

ცხრილების 1 და 2 მონაცემებისგან განსხვავებით ცხრილების 3 და 4 შედეგების მიხედვით მამაკაცები ცდილობენ სოციალური სახის ს („სახის“) შენარჩუნებას მაშინ როდესაც სიტუაცია ამის საშუალებას იძლევა და როდესაც საჯაროდ მათ სახეს საფრთხე არ ემუქრება. პირისპირ ინტერაქცია საშუალებას აძლევს მათ გამოავლინონ მათი „მამაკაცური ძალაუფლება“ და „ბრალმდებელი“ ქალი საკუთარ „სიმართლეში“ დაარწმუნონ.

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილებში მოცემული ყველა სტატისტიკური მონაცემის მიუხედავად საინტერესოა ავლენენ თუ არა კვლევის შედეგები საქართველოში სოციალური ინტერაქციისთვის სპეციფიკურ ბუნებას. ჰადსონის მიხედვით „ყოველ ენას შესაძლებელია გააჩნდეს გარკვეული ხერხი გამოავლინოს სხვაობები ძალაუფლების ან სოლიდარობის სფეროში ან ორივეში ერთად, რომელიც აიხსნება პირისპირ ურთიერთობებში ძალაუფლების ან სოლიდარობის უკიდურეს მნიშვნელობაზე რეფერენციით და ყოველი პირის მოთხოვნილებით ნათელი გახადოს როგორ ხედავს ის ამ ურთიერთობას“ [ჰადსონი 1996:124]. შესაძლებელია თუ არა ეს ასე იყოს ქართული ენის შემთხვევაშიც? შემდეგი ანალიზის თეორიული საფუძვლის წყარო ლაკოფია [ლაკოფი 1979; ტანენი 1996:140] რომელმაც შემოგვთავაზა კომუნიკაციური კომპეტენციის ოთხი ფოკუსი: მანძილის, პატივისცემის, ამხანაგური და სიცხადის. მანძილზე ფოკუსი – მოსაუბრის მიერ საუბრის შემტევი, აბეზარი მანერა აფრთხობს და „ავიწროვებს“ მსმენელს. მანძილი სხვადასხვა კულტურაში შეიძლება სხვადასხვა „სიგრძის“ იყოს. რაც უფრო „ახლოს მიიწევს“ მოსაუბრე მსმენელისკენ უფრო მაღალია რისკი დაარღვიოს თანამოსაუბრის „პირადი სივრცე“. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელს განსხვავებული „ზომის სივრცე აქვთ“. „სხვის ტერიტორიაზე შეჭრა ყოველთვის სასიამოვნო არ არის. ამან შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება რომლისთვისაც მეორე მხარე მზად არ არის ან შეუქმნას საფრთხე სახეს ან თვით-შეფასებას, და რამაც შეიძლება გამოიწვიოს შეურაცხყოფის ან უხერხულობის გრძნობა ან შელახოს სოციალური სახის“ [უიდოუსონი 2007:64]. ინტერესის საგანს წარმოადგენს გავიგოთ ზემოთ ხსენებული „პირადი სივრცეში“ შეჭრა იწვევს თუ არა კულტურისთვის დამახასიათებელ პასუხებს ჯვარედინ გენდერულ საუბრებში. პირად სივრცეში შეჭრა პრაგმატული თვალსაზრისით გამოწვეულია სოციალური სახისთვის საშიში სამეცხველო აქტებით, რომელსაც მიყვარათ საუბრის ლაკოფისეული მიზნის, სახელად პატივისცემა, დარღვევამდე. და თუ ჩვენ მიყვებით ძაფს ლიჩიდან და გოფმანიდან, ბრაუნსა და ლევინსონს და დროის ხაზს შემდგომ, საფრთხე პირად სივრცეში შეჭრისა სხვა



არაფერია გარდა მსმენელის უარყოფითი სახის შელახვის საფრთხი-სა – განაცხადი ადამიანის უფლებებსა და ტერიტორიაზე, სურვილი იყოს თავისუფალი სხვის მიერ თავსმოხვეული აზრებისგან, არ აქვს მნიშვნელობა სწორი თუ მცდარი. „ტენდენცია გამოიყენო უარყოფითი ტიპის თავაზიანობის ფორმები (negative politeness), და ხაზი გაუსვა მსმენელის თავისუფლებაზე, შეიძლება დანახული იყოს როგორც პატივისცემის სტრატეგია“ [იული 1996:66]. პირველი ორი ფოკუსისგან განსხვავებით „ამხანაგური“ პარალელურად თან სდევს გრაციოზულ „თანამშრომლურ“ პრინციპებს, და თამაშში თანაბარი უფლებებით შემოდის.

ნაშრომის დასაწყისში დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, მიზანშეწონილი იქნება გამოვიკვლიოთ ფენომენი, რომელსაც ადგილი აქვს ქართულ ენაში – გენაცალე. სიტყვა გენაცალე ქართულ ენაში საკმაოდ საყურადღებოა „პირადი სივრცის“ თვალსაზრისით – მას შეუძლია გამოავლინოს რამდენად გენდერულად ან კულტურულად დამუხტული შეიძლება იყოს მისი გამოყენება ენაში, რაც ქართულ ენას ორ სხვადასხვა პოლუსად ყოფს. თავად სიტყვა უნიკალურია, რადგან შეუძლებელია მისი ექვივალენტის პოვნა ნებისმიერ სხვა ენაში, მაშინ როდესაც მას თვით ქართულ ენაში რამოდენიმე ექვივალენტი მოეპოვება – შენი ჭირიმე, შემოგეველე. თუ სიტყვის ისტორიას ქრონოლოგიურად უკან გავყვებით, ვნახავთ, რომ ის აღნიშნავდა და აღნიშნავს „გეთაყვა“-ს (დაახლოებითი მნიშვნელობა) მაგრამ დღესდღეობით ეს სიტყვა უფრო მეტს მოიცავს, რაც მოგვიანებით ამ სტატიაში იქნება განხილული. ქართულ-ინგლისური ლექსიკონები განსაზღვრავენ მას როგორც „გთხოვ; გეთაყვა“. მას შეუძლია ზმნიზედის ფუნქციის შესრულებაც და შესძინოს გამონათქვამს თავაზიანი ელფერი. მიუხედავად ამისა, დროსთან ერთად სიტყვამ შეიძინა კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელობა და ფუნქციებიც.

თუ სიტყვას „გენაცალე“ დავშლით სემებად მათ შორის აღმოვაჩინებთ შემდეგ მნიშვნელობებს: „ნება მომეცი ჩაგენაცვლო გასაჭირში“ (მნიშვნელობა მოცემულია დაახლოებით). თედო სახოკია მის წიგნში „მხატვრულ სიტყვათა და გამონათქვამთა კრებული“ გვთავაზობს შემდეგ დეფინიციებს: გემაგიერე; შენი ჭირიმე; თავს შემოგეველე. აქვე განვიხილავთ ზოგიერთ ისეთ მაგალითს, რომელიც სიტყვას „გენაცალე“ შეიცავს.

#### მაგალითი 1.

ხომ მართალია, გენაცალე? – მოსაუბრე მიმართავს დადებითი ტიპის თავაზიანობას (positive politeness) და „ირიბად ითხოვს თანხმობას“. აქ სიტყვა „გენაცალე“ შორისდებულად მოქმედებს და გამო-

ნათქვამს ჰმატებს ფამილიარობის ელფერს, რომელიც ძალიან ჰგავს თხოვნის ფორმას – თითქოს—და მოსაუბრე სთხოვს თანამოსაბურეს დაეთანხმოს მის მიერ გამოთქმულ აზრს. თუმცა, გამონათქვამის იმპლიკაციაა მსმენელს თავს მოახვიოს მისი აზრი და ამავე დროს ფამილიარული და თბილი ტონით ამდიდრებს გამონათქვამს, რაც საუბრის მეორე მონაწილისკენ არის მიმართული. მას შეუძლია ერთდროულად „უბრძანოს“ და „სთხოვოს“ კიდეც. ეს სიტყვა იზოლირებულად თუ კომბინაციაში გამოყენებული ნებისმიერ სხვა გამონათქვამთან იძლევა ეფექტს, რომელსაც შეუძლია მსმენელი მომართოს გარკვეული აზრებისთვის. მიზეზი კი ის არის, რომ ეს სიტყვა იწვევს სხვადასხვა ასოციაციას, როდესაც საწინააღმდეგო სქესთან მიმართებაში გამოიყენება.

მაგალითი 2.

(მამაკაცი ქუჩაში გამვლელ ქალს მიმართავს)

მ: გენაცვალე!

ქ: როგორ ბედავთ?!

ზემოთ მოცემული მაგალითი (მაგალითი 2) გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ერთ სიტყვას შეიძინოს აბსოლუტურად განსხვავებული მნიშვნელობა და ფუნქცია, როდესაც სიტუაციური კონტექსტი, ფონური ცოდნა და კონტექსტუალური ეფექტები ურთიერთქმედებაში მოდიან. სიტყვა გენაცვალე მაგალითში 2 მოქმედებს როგორც მიმართვის ფორმა, რომელსაც ფლირტის ხასიათი აქვს, მაგრამ შეურაცხმყოფელი ფორმაა ქალი მსმენელისთვის. შენიღბვის გარეშე (on-bald), პირდაპირი ფორმა, მაგრამ ამოქმედებული დადებითი ტიპის თავაზიანობის პრინციპებზე, და გამოყენებული მამაკაცისთვის სრულიად უცხო ქალის მიმართ იღებს „უხამს“ სახეს, რომელიც ავლენს მამაკაცურ მოწონებას ქალის ან მისი სხეულის გარკვეული ნაწილების მიმართ ქართულ რეალობაში. გამონათქვამი შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურ მოვლენად, რადგან ის შეიძლება „დაემუქროს“ მსმენელის დადებით და უარყოფით სახესაც ერთდროულად – ორი საწინააღმდეგო, სოციალური სახისთვის საშიში სამეტყველო აქტის ნარევი. სიტყვა გენაცვალე იზოლირებულად გამოყენებისას, პირველ რიგში, ემუქრება დადებით სახეს და უგულვებელყოფს ქალის ღირებულებებს და გამონატავს უპატივცემულობას მის მიმართ. ამის შემდეგ კი საფრთხეს უქმნის ქალის უარყოფით სახეს სახობო/საფლირტაო ქმედებით, თუმცა მისი ფორმა ვულგარულია.

„ბრაუნი და ლევისონი [1978] [1987] ამტკიცებენ, რომ რეალურ ინტერაქციაში გამონათქვამების მიერ მიღებული ფორმები შეიძლე-



ბა იყოს დანახული როგორც ლინგვისტური საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს თანაარსებულ და ხშირად კონფლიქტურ უარყოფითი სახისა (სურვილი თავი დაანებონ) და დადებითი სახისა (სურვილი ყველამ მოიწონოს) მოთხოვნილებას. ამის შედეგად ადამიანები ხშირად ამჯობინებენ გამოხატონ საკუთარი სურვილები და აზრები არა – პირდაპირ ანუ ირიბად. „ირიზულობა აუცილებელი საშუალებაა ურთიერთობების დასამყარებლად და ურთიერთობაში მანძილის შესაქმნელად, რაც პირდაპირ უკავშირდება ბრაუნისა და ლევენსონის დადებით და უარყოფით სახეს.“ [ტანენი 1996:178]. მიუხედავად ამისა, დებორა ტანენის მიერ ხსენებული ფენომენი შესაბამისობაში მოდის განსახილველი სიტყვის ფუნქციასთან ერთი გამონაკლისის გარდა. სიტყვის გენაცვალე გამოყენება არ არის ირიბი ფორმის თავაზიანობა. პირიქით, ის ღია და პირდაპირია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია (იხ. მაგალითი 2).

პასუხი მსმენელის მხრიდან (იხ. მაგალითი 2) თავდაცვითი შინაარსისაა. ქალი ამჯობინებს მაშინვე უკმეხად უპასუხოს მამაკაცის კომენტარს და მიანიშნოს სოციალური ეტიკეტის დარღვევაზე. მისი (ქალის) პასუხი ამავე დროს ქართული ეთოსისთვის დამახასიათებელი შტრიხია, ქვეყნის, რომელიც აღმოსავლური სოციალური და კულტურული ნორმების მქონეა, და ამ ნორმების დამრღვევი მამაკაცი მოსაუბრეა, მიუხედავად იმისა, რომ ერი შეიძლება მოექცეს „დადებითი ფორმის თავაზიანობის მქონე კულტურის“ კატეგორიაში (positive-politeness culture) ზოგადად [ლონგსკოუპი 1995: 69].

მაგალითისგან 2 განსხვავებით ქართველი მამაკაცი არასოდეს მიმართავს მეორე მამაკაცს სიტყვით გენაცვალე რომ ეჭვი არ შეიტანონ მის სექსუალურ ორიენტაციაში, თუნდაც მისი ორიენტაცია არატრადიციული იყოს სინამდვილეში. რადგან ქართველი ერისთვის როგორც კულტურისთვის მათეული „საჯარო სოციალური სახის“ მნიშვნელობა უფრო დიდია ვიდრე „ინდივიდუალურისა“ [მაცუმოტა 1988; მათ 1994].

აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ კვლევის ანალიზისთვის საჭირო დამატებითი მასალის მოსაპოვებლად და იმის გასაგებად რამდენად განსხვავებულია გენდერის თვალსაზრისით სიტყვის გენაცვალე აღქმა ქართულ ენაში გამოკითხვა ჩატარდა სოციალურ ქსელში Facebook. 95 რესპონდენტიდან მხოლოდ 10 მამაკაცი მიიჩნევს, რომ სიტყვა გენაცვალე ფლირტის საშუალებაა, რომელსაც ძირითადად ქალთან მიმართებაში იყენებენ. 8 ქალი ფიქრობს, რომ ეს საქებარი ხერხია. 28 ქალი ფიქრობს, რომ შეურაცხმყოფელია, როდესაც ეს სიტყვა ესმის მამაკაცის მხრიდან. რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ

სიტყვასთან გენაცვალე კომბინაციაში ერთი და იგივე გამონათქვამის ინტენციის აღქმა დამოკიდებულია ისეთ პარალინგვისტურ საშუალებებზე რომელიც თან ახლავს გამოთქმის პროცესს, როგორცაა ინტონაცია, მახვილი, ტონი და სხვ. სურათი 1 და 2 გვიჩვენებს გენდერულ სხვაობას სიტყვა გენაცვალე-ს აღქმის ხარისხში.


მაშინ როდესაც სიტყვა გენაცვალე იძლევა შეურაცხმყოფელ და ფლირტის ხასიათის მქონე ეფექტს ქალთან მიმართებაში განსაკუთრებით მაშინ როდესაც მას წარმოთქვავს მამაკაცი, ის შეიძლება გამოყენებული იქნას სრულიად განსხვავებულად ქალის მიერ მამაკაცთან მიმართებაში (იხ. მაგალითი 3).

მაგალითი 3.


მამაკაცი: ხომ არ შემოგვიერთდებით?

ქალი: მე თქვენს გარეშეც კარგად ვერთობი, გენაცვალე!

სიტყვა გენაცვალე გამონათქვამს ჰმატებს თანამოსაუბრისგან გაუცხოების ელფერს. მოსაუბრე მიანიშნებს მსმენელს, რომ ზღვარი ამ ორს შორის გადაილახა და, რომ მოსაუბრე ქალის „პირადი სივრცე“ უნდა იყოს „დაცული“. უფრო მეტიც, ქალი მოსაუბრე ამჯობინებს დაიცვას მისი „ძალაუფლებრივი“ პოზიცია და ამგვარად უფრო მეტად უახლოვდება „ფემინისტურ“ პოზიციას. შენი ჭირიმე-ს და შემოგველეს, გენაცვალეს-ს ქართულ ექვივალენტებს მსგავსი ეფექტი აქვთ ან უფრო სარკასტულიც: რა მოცლილი ხარ, შენი ჭირიმე.



სურათი 1. ქალის მიერ სიტყვის გენაცვალე აღქმა



სურათი 2. მამაკაცის მიერ სიტყვის გენაცვალე აღქმა

ცხრილი 5.

**სიტყვის გენაცვალე გამოყენების რაოდენობრივი და გენდერული შედარება**

	ქალის მიერ გამოყენებული (%)	მამაკაცის მიერ გამოყენებული (%)
ქალი	61	39
მამაკაცი	72	28

სიტყვას გენაცვალე ასევე შეუძლია გააძლიეროს ირონიის და გამასხარავების ეფექტი სადაც თავს გენდერული სხვაობა არ იჩენს: „რა ჭკვიანი მყავხარ, გენაცვალე“.

სიტყვამ გენაცვალე უფრო მეტად გასაოცარი სურათი დაგვიხატა იმ გამოკითხვის შემდეგ რომელიც ვაკეთდა ამ სიტყვის გამოყენების შესახებ. სოციალური ქსელი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს შემდეგი – მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა (იხ. სურათი 1) მიიჩნევს, რომ სიტყვა გენაცვალე მიმართვის შეურაცხმყოფელი ფორმაა. ორივე სქესის წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ის და მისი ექვივალენტები ძირითადად გამოიყენება ქალების მიერ (იხ. ცხრილი 5).

ყველა ზემოთ მოცემული ილუსტრაცია, ცხრილი და მათში ასახული მონაცემები მიუთითებს ენის გამოყენების გენდერულ სხვაობებზე ქართულ ენაში. ქალის მიერ გამოყენებული „ენა“ ხასიათდება უფრო მეტად ემოციური და თავდაცვითი ბუნებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ მიმართ ამოქმედდება სოციალური სახისთვის საშიში

სამეტყველო აქტები. მათი ექსპანსიური პიროვნულობა უფრო ცხადი ხდება, როდესაც მათ „სახე“-ს საფრთხე ემუქრება (მნიშვნელობა არ აქვს დადებითი და უარყოფითი) საჯაროდ. ზოგიერთ შემთხვევაში შეგვიძლია მიზეზები დავინახოთ უახლეს ისტორიაში – მოვლენებმა, რომელიც მეოცე საუკუნის საქართველოში ვითარდებოდა ქალები ოჯახების მარჩენალად აქცია. საჯაროდ „სახის“ საფრთხეში ჩადგება ასევე საფრთხეს უქმნის მათ მიერ სამუშაო ადგილების შენარჩუნებას. ამიტომ ქალები ცდილობენ რეპუტაცია გადაირჩინონ, ანუ „სახე“ შეინარჩუნონ. გარდა ამისა, თუ კვლევაში ასახულ მონაცემებს გავითვალისწინებთ ქალები უფრო მეტ სოციალური სახისთვის საშიშ სამეტყველო აქტებს ახორციელებენ ვიდრე მამაკაცები. მაშინ როდესაც მამაკაცები უფრო მეტად თავშეკავებული არიან და შეტევაზეც უფრო იშვიათად გადადიან. მეორეს მხრივ, მამაკაცებს აქვთ ტენდენცია რეპუტაციის გადარჩენის ხერხებს მიმართონ თუ საჯაროობას არ აქვს ადგილი. თავად ქართულ ენას გააჩნია საშუალებები გამონატოს ძალაუფლება და სოლიდარობა ერთი და იგივე ფორმით, რომელიც სავარაუდოდ მიანიშნებს მის მოქნილობასა და ენაში არსებული პრაგმატული იმპლიკაციების სიმდიდრეზე. ჩატარებული გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ბრაუნისა და ლევისონის თეორიის უნივერსალობა შეიძლება შესაბამისობაში მოდიოდეს ჩვეულებრივ, დიადიკურ კომუნიკაციასთან, მაგრამ უფრო სკრუპულოზური ანალიზი გვაძლევს შედეგებს, რომელიც ერთი სპეციფიკური კულტურის მახასიათებელია.

### დამოწმებანი

- Brown, P. and Levinson, S. C. 1978:** *Universals in language use: politeness phenomena*. In E. N. Goody, (Ed.), *Questions and Politeness: Strategies in Social Interaction*. (pp. 56-289), New York: Cambridge University.
- (1987) *Politeness: Some universals in language usage*. Cambridge, Cambridge University Press.
- Cheshire, J. and Trudgill, P. (eds.) 1998:** *The Sociolinguistics Reader, Vol. 2: Gender and Discourse*, London, New York, Sydney, Auckland, Arnold.
- Eelen G. 2001:** *A Critique of Politeness Theories*, Saint Jerome Publications, Encounters, Manchester, England (Vol 1).
- Goffman, Erving 1955:** “On Face-work: An Analysis of Ritual Elements of Social Interaction”, *Psychiatry: Journal for the Study of Interpersonal Processes* 18(3), 213-231. Reprinted in Goffman [2005, pp. 5-46].
- Hill, B., Ide,, Ikuta, S., Kawasaki, A., & Ogino, T 1986:** “Universals of lin-

- guistic politeness: Qualitative evidence from Japanese and American English”. *Journal of Pragmatics* 10 (3).
- Hudson, R. A. 1996:** *Sociolinguistics, Second edition*, Cambridge, Cambridge University Press.
- Lakoff R. T. 1977:** “What you can do with words: Politeness, Pragmatics and Performatives.” *In: Proceedings of the Texas Conference on Performatives, Presuppositions and Implicatures*, ed. R. Rogers, R. Wall & J. Murphy, pp. 79–106. Arlington, Va.: Center for Applied Linguistics. (1979) Stylistic strategies within a grammar of style, *Annals of the New York Academy of Sciences*.
- Longcope P. 1995:** “The Universality of Face in Brown and Levinson’s Politeness Theory: A Japanese Perspective”, *University of Pennsylvania Working Papers in Educational Linguistics* [1995, vll nl p69-79 Spr].
- Mao, LuMing R. 1994:** “Beyond politeness theory: ‘Face’ revisited and renewed”. *Journal of Pragmatics* 21(5).
- Matsumoto, Y. 1988:** “Reexamination of the universality of face: Politeness phenomena in Japanese”. *Journal of Pragmatics* 12 (4).
- Tannen, D. 1996:** *Gender and Discourse*, New York and Oxford: Oxford University Press.
- Tracy, K. 1990:** “The many faces of facework”. In H. Giles & W.P. Robinson (Eds.) *Handbook of Language and Social Psychology*. Chichester: John Wiley.
- Watts, R. J. 2003:** *Politeness, Key Topics in Sociolinguistics*, Cambridge, Cambridge University Press.
- Widdowson H.G. 2007:** *Discourse Analysis*, Oxford, Oxford University Press.
- Yule, G. 1996:** *Pragmatics*, Oxford, Oxford University Press.

## Some Specifics on Ftas and Responses to Them in Georgian: A Cross-Gender Perspective

Marine Levidze

*This paper examines research investigating gender-different responses to Face-Threatening Acts in speech acts in Georgia. The speech acts under analysis in this paper are extracts from actual Georgian interactions. The research is conducted only on cross-gender conversations. Surveys based on quantitative comparisons have been made on a social network for additional support of the results.*

**Key Words/Identifiers:** *Politeness; Face; FTA; Responses; Gender; Georgian.*

In 1955 Erving Goffman published his theory of face [Goffman 1955] and in doing so gave rise to numerous works on the topic. It has for years been an object of interest for much research. However, interest has increased since Brown and Levinson published their research on the subject in 1978 [Brown & Levinson 1978]. These gave a set of politeness strategies claiming that they are universal. Since then much research has been conducted on the subject, with some criticizing the theory [Longcope 1995; Eelen 2001] and some giving a whole new spin to it [Hill et al., 1986; 2005; Matsumoto 1988; Mao 1994; Tracy 1990]. However, little has been done on the combination of gender and face-work in particular. This paper presents a sociolinguistic perspective on face and gender in Georgia. “It seems that some of the skills needed for face-work are innate, as in our general need to maintain face” (Hudson 1996:115). This research examines whether it is innate and culturally conditioned as well. Is the theory of the universality of politeness strategies applicable to Georgia as a culture? Are responses to face threatening acts gender-different in Georgian cross-gender interaction? The answers can be given only after we analyse the discourse. However, the process of analysis can only be objectively productive when some essential factors are taken into consideration, such as co-textual and situational contexts, background knowledge and contextual effects, etc.

Let us take a clip from a prime-time news report on a Georgian TV channel [Prime-Time News report, Rustavi-2, 20:00, August, 3, 2011].

*Report on insanity conditions at Marneuli Market, which is not tightly regulated. Shots reveal food-products out of refrigerators on a hot day. On being asked why meat is on display, a male respondent tries to justify this by claiming*



*that the product had been kept in the refrigerator over night and was taken out only during the day, and that meat cannot spoil in the time it is displayed for sale.*

A(F): “Why do you keep the meat out of the refrigerator?”

B(M): “We keep the meat in the refrigerator all night and take it out only for a day. Meat can not be spoiled so quickly. People buy it and they are satisfied.”

The female correspondent threatens negative face of the male respondent by exercising an “on-bald” and “on-record” politeness strategy. The latter chooses not to give into this threat with the risk that he might appear like a salesman who does not observe established rules of sanitation. However, the salesman flouts the quality maxim by declaring something that does not correspond to the truth: – that food products can easily spoil in the heat within a few hours if not kept cool. The thing that leaves us puzzled is why the salesman chooses to tell a lie that is so evident to everyone? Is what matters the fact that the correspondent is a woman, or the fact that the programme is broadcast publicly throughout the country, or both? Such a nonsequitur seems surprising. Any rational agent in his place would make a different excuse. Politeness strategies given by Brown and Levinson [Brown & Levinson 1987] are based on rational decisions which can not be fitted to the example given above. Therefore, it is interesting to know why a person would give such an irrational and absurd answer. Obviously, in the conversation above, the female correspondent exposed her male respondent to the maximum extent of face threat: the public exposure of the salesman’s face threat could easily account for his non-sequitur if we follow Richard Watts - “To go on record baldly and commit the FTA without any redressive action clearly involves the greatest amount of face-threat and should therefore only be used as a strategy if there is a minimal risk of threatening the addressee’s face” [Watts 2003:8].

In order to exclude the TV factor and to find out whether or not the opposite sex factor was the key turning point, a situation with no exposure of the respondent to a cameraman was picked. For this analysis, extracts of recorded cross-gender conversations were taken from actual interactions with participants from different age groups, social positions, with different levels of acquaintance and in different settings. One of these illustrates a typical situation that occurs in Georgian reality. In a long line with many people waiting for their turn, a woman jumps the queue. A man standing in the line gets annoyed and resorts to an off-record/deference strategy by hinting to the woman that his rights have been violated and that she should return to her place.

Male: *kalbatono! ak kvela rigshi vdgavart!* “Madam, we are all standing in a queue here!”

Female: *mkholod raghatsas vkikhav molaes da davubrundebi rigs*, “I’ll just ask the cashier something and get back in line.”

The man requires the rules be observed by the woman while showing his solidarity with the others with the line, except for her. By flouting the relation maxim and avoiding a bald-on strategy he threatens his own negative face but, at the same time, he emphasizes his intention. For her part, the woman, seeing that the “mini-social” group with a male (as its “voice”) is against her, gives into surrenders to the positive face threat but her next move puts her negative face under threat by making an excuse. This is a case where the “volition” strategy comes into play [Longcope 1995:74].

However, a statistical analysis of similar cases yielded contradictory results. Quantitative comparisons of 35 cases of a similar type of actual interaction were analysed with 14 females under a negative face threat coming from a male and 6 females with a positive face threat, also coming from a male, while 9 males were under a negative face threat from a female and 6 under a positive face threat from a female (see Tables 1 and 2). All the cases represent to the victim face threats with public exposure.

According to the results obtained from this analysis, women are more likely to respond to either face threat whenever it comes from a man embarking on a defensive strategy (see Tables 3 and 4). The data revealed that they became fiercer in defending their positions once when they felt they were under public scrutiny. However, results may turn out to be radically different when the same-sex conversations are reviewed, which is not the focus of the present research.

Table 1.

**Female response to FTAs performed by a male**

Female response/non-response vs. Male response/non-response		
	responded	abstained
Under a negative FTA (14)	10	4
Under a positive FTA (6)	3	3

Table 2.

<b>Male response to FTAs performed by a female</b>		
Male response/non-response vs. Male response/non-response		
	responded	abstained
Under a negative FTA (9)	5	4
Under a positive FTA (6)	2	4

Later, two further questionnaires were made up with one question each and their possible answers (see Tables 3 and 4). The first (see Table 3) included a question as to whether a man, caught red-handed by a woman, should make excuses and take a chance at convincing his interlocutor of his truthfulness (Question 1), or take the blame and face a positive face threat (Question 2). The second questionnaire (see Table 4) was the reverse of the first one, with a woman as the potential victim of face threat. Respondents were not given any situational or co-textual background. In the case of the first questionnaire, out of 67 respondents (32 male and 35 female) 22 men went for the first option, whereas the other 10 men chose the second option for the first questionnaire. As for the second questionnaire, it yielded the following results (see Table 4).

Table 3.

<b>Statistical data of option choice for the 1st questionnaire</b>		
	1st option (%)	2nd option (%)
Female	2.85	97.14
Male	68.75	31.25

Table 4.

**Table 4. Statistical data of option choice for the 2nd questionnaire**

	1st option (%)	2nd option (%)
Female	22.85	77.14
Male	0	100

In contrast to the data in Tables 1 and 2, the results from Tables 3 and 4 reveal that men seek to save face whenever the situation gives them the loop to do so but with no face threat from the public. Face-to-face interaction enables

them to exercise their masculine power and impose their “truthfulness” on a female “prosecutor”.

Despite all the statistical data provided in the tables above it is interesting to know whether the research produced results of any culturally-specific nature to social interactions in Georgia. According to Hudson “every language might be expected to have some way of signalling differences in either power or solidarity or both, which could be explained by reference to the extreme importance of both power and solidarity in face-to-face relations between individuals, and the need for each individual to make it clear how they see those relations” [Hudson 1996:124]. Is it possible that this is the case with the Georgian language? The source of the theoretical basis for the following analysis is Lakoff, who suggested [Lakoff 1979; Tannen 1996:140] that there are four principal foci of communicative competence: distance, deference, camaraderie and clarity. Distance is a speaker’s intrusive manner of speaking that frightens off and “intimidates” the hearer. Distance can be “of various lengths” in different cultures. The closer the speaker is to the hearer the higher the risk of bursting the interlocutor’s “privacy bubble”. Representatives of different cultures have various sizes of “bubble”. “The incursion into the other’s space may not be welcome. It may involve an adjustment the other is not prepared to make, or a threat to face or self-esteem, and this may cause offence, or embarrassment, a loss of face” [Widdowson 2007:64]. The focus is to find out whether the “privacy bubble” encroachment produces cultural-specific responses in cross-sex conversations.

“Bubble” bursting in a pragmatic sense is caused by face-threatening acts leading us to flout Lakoffean targets of conversation (deference). And if we follow the thread from Leech and Goffman, with Brown and Levinson next and so on, bubble threat is nothing but a threat to the hearer’s negative face: a claim for one’s rights and territory, a desire to be free from others imposing ideas, whether right or wrong. “The tendency to use negative politeness forms, emphasizing the hearer’s right to freedom, can be seen as a deference strategy” [Yule 1996:66]. Unlike the first two targets camaraderie follows the last Gricean cooperative principle (clarity) by “playing on equal grounds”.

To answer the question stated above, it would be reasonable to investigate a phenomenon occurring in the Georgian language, that of *genatsvale*. The word *genatsvale* in the Georgian language is noteworthy in terms of the “privacy bubble”, and there is more to it than this: it can reveal how much gender- or culture-specific its usage might be, dividing the Georgian language into two different poles. The word itself is unique as it is impossible to find its equivalent in any other language, while it has several equivalents in Georgian itself (*sheni chirime*;

*shemogevle*). If we trace the word back into history it denoted something like “please”, but there is much more to it nowadays than that, as will be discussed below. Georgian-English dictionaries define it as a word meaning “please”. It may function as an adverb adding a polite tint to the utterance. However, over time the word acquired many other meanings and functions as well.

By ‘dismantling’ the word *genatsvale* into sememes in Georgian we can observe the following meanings encoded in it: “Let me replace you in trouble” (approximate translation). Tedo Sakhokia in his book of “Collection of Figurative Words and Sayings” gives the following definitions: *gemagiere; sheni chirime; tavs shemogevle*, “Let me replace you, let me take all your trouble away, let me take care of you (approximate translation). Hereby, some examples containing the word *genatsvale* are analyzed.

#### Example 1

- *khom martalia, genatsvale?* “It’s right, isn’t it?” (approximate translations). The speaker exercises positive politeness by “asking agreement” from the hearer. Here it acts as an interjection and adds a shade of familiarity to the utterance, a kind of request form as if the speaker is asking the interlocutor to agree with his statement. However, the undertone of the utterance is to impose the idea of seeking agreement on the hearer and at the same time being a term of endearment for the other party. It can simultaneously “order” and “ask”. The word used in isolation or in combination with any other utterance produces an effect that can take the hearer to a certain stream of thinking. The reason is that the word generates different associations when used to address the opposite gender.

#### Example 2

(A male addresses a woman passer-by in the street)

M: *genatsvale!*

F: *rogor bedavt?! (“How dare you say that?”)*

The example above illustrates how one word can acquire an absolutely different meaning and function when situational context, background knowledge and contextual effects come into play. The word *genatsvale* in *Example 2* functions as a flirtatious but offensive form of address for a female hearer. The form with no redressive action, bald-on, though formally operating on positive politeness principles, used in reference to a female who is completely unknown to the man, takes a ‘nasty’ form of showing a masculine liking for a woman or certain parts of her body in Georgian reality. The utterance can also be considered as unique for it can threaten the hearer’s positive and negative face at the same time, a kind of mixture of two opposite FTAs. The word *genatsvale* in

isolation threatens, first, the hearer's positive face by ignoring her values and showing disrespect to the woman and then, threatening her negative face by making a complimentary/flirtatious move, vulgar though in its form. Brown and Levinson ([1978]1987) argue that the form taken by utterances in actual interaction can be seen as the linguistic means of satisfying the coexisting and often conflicting needs for *negative face* (the need to be left alone) and *positive face* (the need to be approved of by others). As a result, people often prefer to express their wants and opinions *off record* – that is, indirectly. Indirectness is a necessary means for serving the need for rapport and defensiveness, associated respectively with Brown and Levinson's positive and negative face. [Tannen 1996: 178]. However, the phenomenon mentioned by Deborah Tannen corresponds to the function of the word in question with one exception. The usage of *genatsvale* is not an indirect politeness. On the contrary, it is as open and direct as it can be (see Example 2).

The response from the hearer's side (see Example 2) is of a defensive nature. The woman would rather clamp down the man's reaction by focusing on the violation of social etiquette. Her response is at the same time characteristic of Georgian ethos, with the country still being the inheritor of eastern social and cultural norms, so much violated by the male speaker, in spite of the fact that the nation can be categorized as a "positive-politeness culture" on the whole [Longcope 1995:69].

In contrast to Example 2, a Georgian male would never address another man using *genatsvale* for fear of being considered to be a homosexual, whether the latter is true or not, such an act would be avoided, since for the Georgian nation as a culture, the importance of Maoean "social" face is much greater than the "individual" one [Matsumota 1988; Mao 1994].

To provide some additional support for the research analysis and to understand how gender-different the perception of the word *genatsvale* is in Georgian, a survey was conducted on the social network Facebook. Out of 95 respondents only 10 men think it is a flirtatious word mostly applied to in reference to women. 8 women think it is a complimentary word. 28 women think it is offensive when it comes from a man. A near majority of the respondents think that perception of the intention of one and the same utterance combining *genatsvale* depends on paralinguistic means accompanying the process of utterance such as intonation, stress, tone, etc. Figures 1 and 2 show the gender disparity between the extents of perceiving the word *genatsvale*.

While the word *genatsvale* produces an offensive and flirtatious effect on women when uttered by a man, it can be used in a completely different way by a woman used in reference to a man (see Example 3).




*Example 3*


Male: *khom ar shemogviertdebit?* “Won’t you join us?”

Female: *me tqvens gareshets kargad vertobi, genatsvale!* “I’m doing fine without you!”

The word *genatsvale* adds a shade of alienating oneself from the interlocutor. The speaker gives a hint to the hearer that the space between the two speakers has been trespassed upon and that the “bubble” of the female speaker “must” be secured. Furthermore, the female speaker wishes to protect her “power” stance, thus inclining herself to a somewhat “feminist” position. *sheni chirime* and *shemogevle*, Georgian equivalents to *genatsvale*, can also act in the same way as *genatsvale* or in a more sarcastic way: *ra motslili xar, sheni chirime*, ‘You are so free of all kinds of activities and troubles’.



**Figure 1.** Female Perception of “Genatsvale”



**Figure 2.** Male Perception of “Genatsvale”

Table 5.

**Quantitative and gender comparison of *genatsvale* usage**

	used by females (%)	used by males (%)
Female	61	39
Male	72	28

The word *genatsvale* can also reinforce an irony or banter effect with no gender difference: *ra chkviani mqavkhar, genatsvale*, ‘How clever you are!’

The word *genatsvale* gave a more surprising picture after the survey on the usage of the word. The social network Facebook enabled the following revelation: despite the fact that the majority of women surveyed (see Figure 1) think the word *genatsvale* is an offensive means of address both gender representatives consider it and its equivalents to be mainly uttered by women (see Table 5).

All the illustrations and tables given in this paper and the data reflected in them point to sex differences in language use in Georgia. Female language is characterized by a more emotional and defensive nature, especially when FTA is exercised on them. Their expansive personality becomes more vivid when their ‘face’ is threatened (no matter whether positive or negative) publicly. In some cases we can find the roots of the reasons for this in recent history, when events in Georgia in the twentieth century turned them into breadwinners. A public threat to their ‘faces’ might threaten their chances of holding on to their jobs. They, therefore, do their best to save face. Besides, following the survey results, they do more FTAs than males, whereas, males tend to be more reserved and rarely go on the offensive. On the other hand, men have a tendency to save face when there is no public exposure. The Georgian language itself has means to express power and solidarity with one and the same form, which probably indicates its flexibility and the richness of the pragmatic undertones in the language. The survey reveals that the universality of the theory of Brown and Levinson might be applicable to ordinary dyadic communication, but a more scrupulous analysis gives results that may be characteristic of specific culture.

## Bibliography

- Brown, P. and Levinson, S. C. 1978:** *Universals in language use: politeness phenomena*. In E. N. Goody, (Ed.), *Questions and Politeness: Strategies in Social Interaction*. (pp. 56-289), New York: Cambridge University.
- (1987) *Politeness: Some universals in language usage*. Cambridge, Cambridge University Press.
- Cheshire, J. and Trudgill, P. (eds.) 1998:** *The Sociolinguistics Reader, Vol. 2: Gender and Discourse*, London, New York, Sydney, Auckland, Arnold.
- Eelen G. 2001:** *A Critique of Politeness Theories*, Saint Jerome Publications, Encounters, Manchester, England (Vol 1).
- Goffman, Erving 1955:** "On Face-work: An Analysis of Ritual Elements of Social Interaction", *Psychiatry: Journal for the Study of Interpersonal Processes* 18(3), 213-231. Reprinted in Goffman [2005, pp. 5-46].
- Hill, B., Ide,., Ikuta, S., Kawasaki, A., & Ogino, T 1986:** "Universals of linguistic politeness: Qualitative evidence from Japanese and American English". *Journal of Pragmatics* 10 (3).
- Hudson, R. A. 1996:** *Sociolinguistics, Second edition*, Cambridge, Cambridge University Press.
- Lakoff R. T. 1977:** "What you can do with words: Politeness, Pragmatics and Performatives." In: *Proceedings of the Texas Conference on Performatives, Presuppositions and Implicatures*, ed. R. Rogers, R. Wall & J. Murphy, pp. 79-106. Arlington, Va.: Center for Applied Linguistics. (1979) Stylistic strategies within a grammar of style, *Annals of the New York Academy of Sciences*.
- Longcope P. 1995:** "The Universality of Face in Brown and Levinson's Politeness Theory: A Japanese Perspective", *University of Pennsylvania Working Papers in Educational Linguistics* [1995, vll nl p69-79 Spr].
- Mao, LuMing R. 1994:** "Beyond politeness theory: 'Face' revisited and renewed". *Journal of Pragmatics* 21(5).
- Matsumoto, Y. 1988:** "Reexamination of the universality of face: Politeness phenomena in Japanese". *Journal of Pragmatics* 12 (4).
- Tannen, D. 1996:** *Gender and Discourse*, New York and Oxford: Oxford University Press.
- Tracy, K. 1990:** "The many faces of facework". In H. Giles & W.P. Robinson (Eds.) *Handbook of Language and Social Psychology*. Chichester: John Wiley.
- Watts, R. J. 2003:** *Politeness, Key Topics in Sociolinguistics*, Cambridge, Cambridge University Press.
- Widdowson H.G. 2007:** *Discourse Analysis*, Oxford, Oxford University Press.
- Yule, G. 1996:** *Pragmatics*, Oxford, Oxford University Press.